საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
1922 წლიდან

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ქ.თბილისი

21 ნოემბერი, 2024 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის დავით გურგენიძის სახით, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი და მიზანი

1. წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი თანამშრომლობა.

2. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი თანამშრომლობის ფარგლებში კონკურენციის, მომხმარებლის დაცვისა და ანტიდემპინგურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა,

კვალიფიციური კადრების მომზადება და სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი ღონისძიებები

მხარეები იმუშავებენ შემდეგი მიმართულებებით:

ა) მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, საჯარო ლექციების ორგანიზება და ა.შ);

ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვ.;

გ) დაგეგმავენ ერთობლივ პროექტებს/საერთაშორისო აქტივობებს და იმუშავებენ ამ პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოძიების მიმართულებით;

დ) ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თანამშრომლები და პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ;

ე) უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან სააგენტოში.

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

1. დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.
2. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.
3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ორი წლის ვადით. მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ვადა.

5. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და
მომხმარებლის დაცვის სააგენტო
თავმჯდომარე

ირაკლი ლექვინაძე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი

დავით გურგენიძე